დეზინფორმაციის და პროპაგანდის წინააღმდეგ სახელმწიფო ინსტიტუტების პოლიტიკა
2023

სარჩევი

შესავალი 2

1. საკითხის მიმოხილვა 2

2. რა არის დეზინფორმაცია? 5

3. როგორ განმარტავს სახელმწიფო დეზინფორმაციას? 6

4. პარლამენტის როლი/საქმიანობა 7

5. აღმასრულებელი უწყებების საქმიანობა 8

5.1. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია 9

5.2. საგარეო საქმეთა სამინისტრო 10

5.3. თავდაცვის სამინისტრო 12

5.4. შინაგან საქმეთა სამინისტრო 13

5.5. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 14

5.6. სახელმწიფო მინისტრის აპარატი შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში 15

5.7. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 16

6. საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია 16

7. ძირითადი მიგნებები 18

8. რეკომენდაციები 19

9. სასარგებლო ბმულები 19

შესავალი

წინამდებარე ანგარიში მომზადდა პროექტის, „დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ საჯარო სამსახურის მედეგობის გაძლიერება“, ფარგლებში. პროექტს ახორციელდებს საჯარო სამსახურის ბიურო, გაეროს განვითარების პროგრამის და დიდი ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერით. პროექტი მიზნად ისახავს დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ საქართველოს საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლებას და მათი მედეგობის გაზრდას.

ექსპერტების მიერ მომზადებული ანგარიში მიმოიხილავს საქართველოს კანონმდებლობას, სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებს და სახელმწიფო უწყებების მიერ დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიის საპასუხოდ დაგეგმილ და განხორციელებულ საქმიანობას. ანგარიში, ასევე, მოიცავს რეკომენდაციებს საჯარო სამსახურში დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მიმართ მედეგობის გასაზრდელად გადასადგმელი შემდგომი ნაბიჯების შესახებ. რეკომენდაციები შემუშავებულია კვლევის პროცესში მოძიებული და გაანალიზებული ოფიციალური დოკუმენტების და სხვა ინფორმაციის საფუძველზე.

1. საკითხის მიმოხილვა

დეზინფორმაციის და პროპაგანდის საფრთხეებთან გამკლავება თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. თანამედროვე საზოგადოებებმა აღიარეს, რომ დეზინფორმაციული კამპანია გავლენას ახდენს დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობაზე, მიმართულია სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ხალხის ნდობის შემცირების, საზოგადოების პოლარიზებისა და გახლეჩისკენ.[1] ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის ზრდამ და სოციალური მედიის განვითარებამ ეს პროცესი უფრო სწრაფი გახადა.

თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით დეზინფორმაციის და პროპაგანდის გავრცელების მასშტაბებმა ახალი საფრთხის წინაშე დააყენა დემოკრატიული ქვეყნები. საინფორმაციო სივრცის დაცვა რთული ამოცანა გახდა ციფრულ სამყაროში, სადაც შესაძლოა უმოკლეს დროში გავრცელდეს ნებისმიერი დეზინფორმაცია ფართო აუდიტორიისთვის.

ლიბერალურმა დემოკრატიებმა დეზინფორმაციის და პროპაგანდის საფრთხეებთან გამკლავება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად აღიარეს. ქვეყნები მიიჩნევენ, რომ უცხო ქვეყნის მთავრობები აქტიურად იყენებენ შექმნილ ახალ რეალობას და დეზინფორმაციული კამპანით ცდილობენ გავლენა მოახდინონ დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობაზე. ასევე, ცდილობენ შეამცირონ ხალხის ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, ხელი შეუწყონ საზოგადოების პოლარიზებას და გახლეჩას.

[1] UNDP, Mapping and Analysis of Efforts to Counter Information Pollution in Europe and Central Asia Region, 2022

ამ საფრთხეებზე საპასუხოდ, სახელმწიფოებმა, როგორც ინდივიდუალური, ასევე, ერთობლივი რეაგირების მექანიზმების შექმნა და განვითარება დაიწყეს. ევროკავშირის წევრი ქვეყნები, დეზინფორმაციის პროცესზე ეფექტიანი რეაგირებისთვის, აუცილებელ პირობად ასახელებენ:

- ინსტიტუციურ მზადყოფნას საფრთხეებთან გასამკლავებლად;
- საფრთხეების მიმართ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას;
- სამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოებების საქმიანობის კოორდინაციას.[2]

საქართველოს ხელისუფლებამ დეზინფორმაციის და პროპაგანდის საფრთხეების ოფიციალურად აღიარება 2016 წლიდან დაიწყო, როდესაც საკითხი პირველად გაჩნდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) წლიურ ანგარიშში. მას შემდეგ, საკითხი მუდმივად აღინიშნება აღმასრულებელი უწყებების სტრატეგიულ დოკუმენტებსა და სამოქმედო გეგმებში. ამ დოკუმენტების მიხედვით, საქართველოში დეზინფორმაციის საფრთხეები, ძირითადად რუსეთის ფედერაციას უკავშირდება. სახელმწიფო უწყებები მიიჩნევენ, რომ დეზინფორმაციული კამპანია საფრთხეს უქმნის საქართველოს მისწრაფებას შექმნას დემოკრატიული სახელმწიფო და გაწევრიანდეს ნატოსა და ევროკავშირში; ასევე, დეზინფორმაცია მიზნად ისახავს საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების დაკნინებას, რაც ეგზისტენციალურ საფრთხეს უქმნის ქვეყნის სუვერენიტეტსა და ეროვნულ უსაფრთხოებას.

დეზინფორმაციის საფრთხეებზე საპასუხოდ, საქართველოს მთავრობის 2018 წლის გადაწყვეტილებით, ყველა სამინისტროში სტრატეგიული კომუნიკაციების ერთეულები შეიქმნა. მთავრობის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სტრატეგიული დეპარტამენტების მიზანი ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის შემცირება და ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების გაზრდა, აგრეთვე, ქვეყანაში ეფექტიანი, კოორდინირებული და პროაქტიური სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემის ჩამოყალიბება იყო.[3]

ცხადია, პრობლემაზე რეაგირების მექანიზმების შექმნა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო დეზინფორმაციის და პროპაგანდის საფრთხეების შესამცირებლად, რასაც სახელმწიფო უწყებების კოორდინირებული მუშაობა, რეაგირების მექანიზმების მუდმივი განვითარება და საზოგადოების სისტემური ინფორმირებულობა უნდა მოჰყოლოდა. თუმცა ერთი საკითხი, რომელიც სახელმწიფო უწყებების სტრატეგიულ დოკუმენტებში და ოფიციალურ განცხადებებში ნაკლებად გვხვდება, არის თავად სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების გაზრდა და გაძლიერება დეზინფორმაციასა და პროპაგანდასთან გასამკლავებლად. ეს, ცხადია, პირველ რიგში, გულისხმობს, საჯარო მოსამსახურეების ცოდნის გაღრმავებას დეზინფორმაციის საკითხებზე და საფრთხეების

[2] დეზინფორმაციის წინააღმდეგ ევროკავშირის სამოქმედო გეგმა, 2020
[3] საქარველოს მთავრობის განცხადება, 2018

აღმოჩენისა და რეაგირებისთვის მათი უნარების და შესაძლებლობების გაზრდას (საჭიროების შემთხვევებში).

დეზინფორმაციის შესახებ საჯარო მოსამსახურეების ცნობიერების გაზრდას განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. პირველ რიგში იმიტომ, რომ დეზინფორმაცია, ხშირ შემთხვევაში, სწორედ სახელმწიფო ინსტიტუტების და საჯარო მოხელეების საქმიანობას ესხმის თავს. საფრთხეების შესახებ ინფორმირებულობა საჯარო მოსამსახურეებს დაეხმარება იმის გაცნობიერებაში, თუ რამდენად აზიანებს დეზინფორმაციული კამპანია სახელმწიფო უწყებების რეპუტაციას და ხელს უწყობს უნდობლობას საჯარო მოსამსახურეების საქმიანობის და მათ მიერ მიწოდებული სერვისების მიმართ.

ბოლო წლებში, ამისი მაგალითი იყო კოვიდ-19 პანდემიის მართვის პერიოდი, როდესაც ვირუსის მართვის საკითხებზე გავრცელებული დეზინფორმაციით, საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების მცდელობამ განსაკუთრებული მასშტაბები მიიღო. ჯანდაცვის უწყებების რეკომენდაციების საწინააღმდეგოდ, არაერთი სოციალური გვერდით ვრცელდებოდა დეზინფორმაცია პანდემიის საფრთხეების დაკნინების, კორონავირუსის უარყოფის და ანტი-ვაქსერული განწყობების შესაქმნელად. ეს ინტენსიური დეზინფორმაციული კამპანიები, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოებაში უნდობლობის გაღრმავებისკენ და საჯარო მოხელეების საქმიანობის დაკნინებისკენ იყო მიმართული.

საჯარო მოხელეების ინფორმირებულობას დეზინფორმაციის საკითხებზე, ასევე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების დროულად და სწორად ინფორმირების პროცესებში. საჯარო მოხელეები მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მთავარ წყაროს წარმოადგენენ (განსაკუთრებით თვითმმართველ ერთეულებში) არა მხოლოდ თავიანთ სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე, არამედ, დემოკრატიული მმართველობის, სერვისების მიწოდების და სხვა თემების შესახებ. შესაბამისად, მათი მედეგობა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მიმართ კრიტიკულია არა მარტო კონკრეტული ინსტიტუციების უსაფრთხოებისა და ეფექტიანი მუშაობის, არამედ, უფრო ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კონტექსტშიც.

ამდენად, როდესაც დეზინფორმაციის წინააღმდეგ ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებაზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, დეზინფორმაციის მიმართ თავად საჯარო მოსამსახურეების მედეგობის შეფასების და შემდგომ, გაზრდის და გაძლიერების საკითხები. ეს მოიცავს იმის გაანალიზებას, თუ რამდენად არიან საჯარო მოსამსახურეები ინფორმირებულები დეზინფორმაციის საფრთხეების შესახებ, რამდენად ეფექტიანია მათი უნარები გაარჩიონ დეზინფორმაცია სანდო და სწორი ინფორმაციისგან და საჭიროების შემთხვევაში, გახდნენ ინფორმაციის სანდო წყარო საზოგადოებისთვის.

წინამდებარე სამაგიდო კვლევის მიზანია, საჯარო სამსახურის ეროვნულ ბიუროს მოუმზადოს ანგარიში დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებზე სახელმწიფო

უწყებების მიერ საჯარო მომსამსახურეებისთვის მომზადებული და განხორციელებული პროგრამების შესახებ. დოკუმენტში თავმოყრილი საკითხები შესაძლებლობას მისცემს საჯარო სამსახურის ბიუროს განსაზღვროს საჯარო მოსამსახურეების საჭიროებები ამ მიმართულებით და საჭიროების შემთხვევაში, დაგეგმოს და განახორციელოს მიზნობრივი სასწავლო პროგრამები.

საკითხზე სრულფასოვანი ინფორმაციის წარმოსადგენად, ანგარიში 1) შეისწავლის სახელმწიფო უწყებების პოლიტიკის დოკუმენტებს დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებზე; 2) გამოიკვლევს ბოლოს წლების მანძლზე ამ უწყებების მიერ საკითხზე რეაგირებისთვის განხორციელებულ ღონისძიებებს; და 3) შეისწავლის საჯარო უწყებების მიერ საჯარო მოსამსახურეებისთვის განხორციელებულ ან/და დაგეგმილ ცნობიერების ამაღლების, უნარების გაძლიერების პროგრამებს. კვლევა, ასევე, მოიცავს რეკომენდაციებს საჯარო სამსახურში დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მიმართ მედეგობის გაზრდის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ, რაც შემუშავებულია კვლევის ძირითადი მიგნებების საფუძველზე.

სამაგიდო კვლევა შეისწავლის ცენტრალური ხელისუფლების იმ უწყებების პოლიტიკას და საქმიანობას, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხოებას და საზოგადოებრივ წესრიგს, დეზინფორმაციასთან ბრძოლა განსაზღვრული აქვთ უწყებრივი სტრატეგიული დოკუმენტებით, ან საზოგადოებისთვის სერვისების მსხვილი მიმწოდებლები არიან.

2. რა არის დეზინფორმაცია?

დეზინფორმაციის და პროპაგანდის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკა სრულ თანხვედრაში უნდა იყოს სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების ფენდამენტური უფლების დაცვასთან. შესაბამისად, სახელმწიფოს საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. ამ პროცესში მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო უწყებები, ისევე, როგორც სამოქალაქო საზოგადოება, შეთანხმდნენ დეზინფორმაციის, როგორც პრობლემის ერთგვაროვან განმარტებაზე. ასევე, იყოს საერთო აღქმა, თუ როგორ მუშაობს დეზინფორმაცია და პროპაგანდა, რომელმაც შესაძლოა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესები დააზიანოს. პრობლემის მიმართ საერთო აღქმა გააადვილებს სახელმწიფო უწყებების მიერ საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვას და პროცესის მონაწილეებს შორის (სახელმწიფო უწყებები, არასამთავრობო სექტორი, მედია, საერთაშორისო პარტნიორები, სხვა) მეტ შეთანხმებულობას შეუწყობს ხელს.[4]

დეზინფორმაციის განმარტება, ასევე, მნიშვნელოვანია ჩვენი ანგარიშის მიზნებისთვის, რათა საჯარო სამსახურის ბიუროს მიეცეს შესაძლებლობა უკეთ დაინახოს და

[4] შენიშვნა: დეზინფორმაციის უნივერსალური, ყველა ქვეყნისთვის მისაღები განმარტება არ არსებობს. საერთაშორისო ორგანიზაციები, ისევე, როგორც ინდივიდუალური ქვეყნები ოფიციალური დოკუმენტებით გვთავაზობენ განმარტებას, რომელიც, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის მსგავსია.

განსაზღვროს თავისი როლი ამ პროცესში. ასევე, სწორად დაგეგმოს და განახორციელოს კონკრეტული პროგრამები საჯარო უწყებებისთვის, რაც მათ პრობლემასთან უკეთ გამკლავებაში დაეხმარებათ.

3. როგორ განმარტავს სახელმწიფო დეზინფორმაციას?

საქართველოს კანონმდებლობა დეზინფორმაციის დეფინიციას არ გვთავაზობს. ამდენად, დეზინფორმაციის განმარტებისთვის პასუხები თავად სახელმწიფო უწყებების დოკუმენტებში უნდა ამოვიკითხოთ.

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშები არ მოიცავს დეზინფორმაციის კონკრეტულ განმარტებას. თუმცა, 2021 წლის დოკუმენტი ამ პროცესს "საინფორმაციო ომს უწოდებს" და საფრთხის აღწერისას უთითებს, რომ დეზინფორმაცია 1) მრავალი აქტორის მიერ ხორციელდება, 2) აქვს სიტემური ხასიათი, 3) არის ორგანიზებული პროცესი და 4) აქვს კონკრეტული მიზნები და ამოცანები.[5]
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიის მიხედვით, [6] დეზინფორმაცია 1)კონკრეტული აქტორებისგან მომავალი საინფორმაციო ზეგავლენის ოპერაციაა, რომელიც მიმართულია 2)კონკრეტულ სამიზნე აუდიტორიის განწყობებზე ზეგავლენის მოსახდენად.

საქართველოს პარლამენტის თემატური მოკვლების ჯგუფის ანგარიში დეზინფორმაციის, პროპაგანდის და მისინფორმაციის უფრო კონკრეტულ განმარტებებებს გვთავაზობს და მიიჩნევს, რომ:

- დეზინფორმაცია არის მიზანმიმართული და ზოგჯერ ფარულად გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისთვის ან/და ობიექტური სიმართლის დასაჩრდილად;
- პროპაგანდა კი წარმოადგენს კომუნიკაციის ფორმას, ჭეშმარიტი ან მცდარი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც ფაქტების შერჩევითი გამოყენებით, ფაბრიკაციით და ეგრეთ წოდებული ნახევარ-სიმართლეებით საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, ხალხის ცნობიერებაზე ზემოქმედებას და შედეგად - სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენებას ისახავს მიზნად;
- მისინფორმაცია არის მცდარი ან არასრული ინფორმაცია, რომელსაც უმეტესად ახასიათებს ორაზროვნება, ბუნდოვანება ან საეჭვოობა (იძლევა რამდენიმე ინტერპრეტაციის საშუალებას). არასრული ინფორმაცია (ნახევარ-სიმართლე). რომელიც ასევე, შესაძლოა იყოს მიზანმიმართული სიყალბე, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში დეზინფორმაციადაც შეიძლება ჩაითვალოს.

---

[5] სუსის ანგარიში, 2021

[6] თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგია, (2021-2024)

ზემოაღნიშნული დოკუმენტები შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სახელმწიფო მცდარი ინფორმაციის გავრცელების ყველა შემთხვევას არ მიიჩნევს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისთვის რისკის და საფრთხის შემცველად. საფრთხედ მიიჩნევა დეზინფორმაციის გავრცელების ის პროცესი რომელიც კონკრეტული ჯგუფების მიერ ორგანიზებულად ხორციელდება, აქვს სისტემური ხასიათი და მიმართულია საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისთვის. ასეთი კამპანიები, ძირითადად, მიმართულია სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ და შეიცავს უსაფრთოების რისკებს. სახელმწიფოს მიერ დეზინფორმაციის წინააღმდეგ დაგეგმილი, გატარებული და გასატარებელი ღონისძიებები, სწორედ დეზინფორმაციის ასეთ გამოვლინებებზე საპასუხოდ არის მიმართული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი ანგარიშის მიზნებისთვის, დეზიინფორმაციის ამ განმარტებას გამოვიყენებთ.

4. პარლამენტის როლი/საქმიანობა

წინამდებარე ანგარიშის მთავარი სამიზნე აღმასრულებელი უწყებებია, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პარლამენტს შეუცვლელი როლი აქვს აღმასრულებელი უწყებების საქმიანობის კონტროლის, ასევე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროების საკითხზე მოქალაქეების ინფორმირების მიმართულებით, საინტერესო იქნება საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის მიმოხილვა და შეფასება.

საქართველოს პარლამენტმა დეზინფორმაციის საფრთხეების პოლიტიკურ დოკუმენტებში მითითება 2018 წლიდან დაიწყო, როდესაც საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა პირველმა აღიარა გამოწვევა 2018-2020 წლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში. დოკუმენტების თანახმად, კომიტეტმა ანტიდასავლური პროპაგანდა უსაფრთხოების მზარდ გამოწვევად შეაფასა, როგორც საქართველოსთვის, ისე დემოკრატიული საზოგადოებებისთვის და გამოწვევებზე რეაგირებისთვის პარტნიორ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე მიუთითა.[7]

სტრატეგიული დოკუმენტების მიღების შემდეგ, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა, ჩაატარა თემატური მოკვლევა საქართველოში დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებთან დაკავშირებით და გამოაქვეყნა ანგარიში "საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერება ქვეყანაში ანტიდასავლური დეზინფორმაციის და პროპაგანდის მიმართ". თემატური მოკვლევის ანგარიში სახელმწიფო უწყების მიერ მომზადებული პირველი დოკუმენტია, რომელიც დეტალურად აღწერს რუსული დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული მოქმედებების თავისებურებებს. მათ შორის, მიუთითებს კამპანიის ძირითად მიზნებსა და ამოცანებზე და იმ საშუალებებსა და მექანიზმებზე, რომლებიც ამ პროცესში საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მოსახდენად გამოიყენება.

[7] საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, 2018-2020

თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეისწავლა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებზე.

მოკვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, მოკვლევის ჯგუფმა სახელმწიფო უწყებების მიმართ გასცა კონკრეტული რეკომენდაციები დეზინფორმაციის და პროპაგანდის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობის გასაზრდელად. აღმასრულებელი უწყებების მიმართ გაცემული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, თითოეული აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში სპეციალური ერთეულის შექმნა იყო, რომელიც, კოორდინაციას გაუწევდა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ სახელმწიფო უწყებების საქმიანობას. მაკოორდინირებელ უწყებას, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების ჩართულობით, უნდა შეემუშავებინა პროაქტიული საკომუნიკაციო სტრატეგია დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე.

თემატური მოკვლევის პროცესმა გააჩინა მოლოდინი, რომ პარლამენტი დეზინფორმაციის და პროპაგანდის საფრთხეებზე მუშაობას და ამ მიმართულებით, აღმასრულებელი უწყებების საქმიანობის კოორდინაციას, პრიორიტეტულ საკითხად აქცევდა. თუმცა, მომდევნო წლებში პარლამეტნის საქმიანობა ამ მიმართულებით რამდენიმე პოლიტიკური დოკუმენტის მიღებით შემოიფარგლა.

პარლამენტის როლი რამდენიმე მიმართუელბით არის საინტერესო დეზინფორმაციის საფრთხეებზე საპასუხო პოლიტიკის განხორციელების პროცესში. პირველი, რომ პარლამენტს თავისი საზედამხედველო მანტადით მთავრობის უწყებების საქმიანობაზე მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა აქვს. ამ უფლებამოსილებით პარლამენტს შეუძლია რეგულარულად შეამოწმოს რას საქმიანობენ აღმასრულებელი უწყებები დეზინფორმაციის საფრთხეების შესამცირებლად ქვეყანაში. იმავდროულად, მოითხოვოს აღმასრულებელი უწყებებისგან კონკრეტული ღონისძიებების გატარება.

მეორე საკითხი არის პარლამენტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რაც მოიცავს საზოგადოების ინფორმირებას სახელმწიფოებრივ და ნებისმიერი საზოგადოებრივი საჭიროების საკითხებზე. თუმცა რა ღონისძიებებს ახორციელებს პარლამენტი დეზინფორმაციის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებისთვის, უცნობია. ამ საკითხებზე პარლამენტის გვერდზე ინფორმაცია არ იძებნება.

ხოლო მესამე საკითხი, დეზინფორმაციის გამოწვევებზე რეაგირების მიმართულებით თავად პარლამენტის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდაა. რაც, რასაკვირველია მოიცავს პარლამენტის აპარატის თანამშრომლების მომზადებას და საფრთხეების შესახებ მათი ცნობიერების ამაღლებას. აღნიშნული საკითხი არ არის მითითებული პარლამენტის პოლიტიკურ დოკუმენტებში, ასევე არ იძებნება საკანონმდებლო ორგანოს ვებგვერდზე.

5. აღმასრულებელი უწყებების საქმიანობა

საქართველოს სახელმწიფო უწყებებმა დეზინფორმაციის და პროპაგანდის საფრთხედ აღიარება 2016 წელს დაიწყეს, როდესაც საფრთხის შესახებ ჩანაწერი საქართველოს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) 2016 წლის ანგარიშში გაჩნდა და „უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებიდან“ მომდინარე დეზინფორმაციის საფრთხე ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში შეფასდა.

ამ ჩანაწერმა ხელი შეუწყო სხვა სამთავრობო უწყებების მიერ პრობლემის უფრო ფართოდ აღიარებას სტრატერგიული თუ სხვა შიდა უწყებრივი დოკუმენტებით. საფრთხედ აღიარების შემდეგ, სამთავრობო უწყებებმა, გამოწვევასთან გასამკლავებლად, კონკრეტული საპასუხო ღონისძიებების გატარება დაიწყეს. მომდევნო თავებში მიმოვიხილავთ საკითხთან დაკავშირებით იმ სამინისტროების და სხვა უწყებების საქმიანობას, რომლებმაც დეზინფორმაციის და პროპაგანდიის საფრთხეებზე რეაგირება შიდა უწყებრივ პრიორიტეტად დაასახელეს ან კანონით დაკისრებული უფლებამოსილების ფარგლებში მუშაობენ ამ საკითხზე. უფრო კონკრეტულად, მიმოვიხილავთ ამ უწყებების მიერ დამტკიცებულ დოკუმენტებს და დაგეგმილ და განხორციელებულ საქმიანობას დეზინფორმაციის და პროპაგანდის საფრთხეებთან გასამკლავებლად. ასევე, განვიხილავთ ამ უწყებების მიერ საჯარო მოხელეების შესაძლებლობების გაზრდისთვის დაგეგმილ და განხორციელებულ პროგრამებს.

5.1. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ერთ-ერთი პირველი დოკუმენტი, რომელიც დეზინფორმაციის საფრთხეებს შეეხო, ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017- 2020 სტრატეგიაა. დოკუმენტის მიხედვით, საფრთხედ არის შეფასებული რუსული დეზინფორმაციული კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში დასავლური ღირებულებების დისკრედიტაციას და ევროკავშირისა და ნატოსადმი მხარდაჭერის შემცირებას. პოლიტიკის ამ დოკუმენტს საფუძველი უნდა შეექმნა უცხო ქვეყნის მავნე ზეგავლენის წინააღმდეგ აღმასრულებელი უწყებების რეაგირების პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელებისთვის. თუმცა, ამ მიმართულებით განხორციელებული კოორდინირებული მუშაობის შესახებ ანგარიშები, ან რაიმე ინფორმაცია, საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე არ მოიპოვება.

აღმასრულებელმა უწყებებმა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა დეზინფორმაციის საფრთხეებთან გასამკლავებლად 2018 წელს დაიწყეს, როდესაც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სამინისტროებში სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტების შექმნა დაიწყო. იმდროინდელი პრემიერ-მინიტრის განცხადებით, სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტების შექმნის მიზანი ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის შემცირება და ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების გაზრდა იყო. საქართველოს მთავრობა ქვეყანაში ეფექტიანი, კოორდინირებული და პროაქტიული სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემის ჩამოყალიბებას პრიორიტეტულ საკითხად ასახელებდა.

ამ გადაწყვეტილების მიღებიდან მალევე, 2018 წელს, მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციიების დეპარტამენტი შეიქმნა. მთავრობის ამ სტრუქტურულ ერთეულს დეზინფორმაციის და პროპაგანდის წინააღმდეგ აღმასრულებელი უწყებების პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელების და კოორდინაციის პროცესში, მთავარი როლი უნდა შეესრულებინა. მთავრობის ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებგვერდზე, დეპარტამენტის მიზნების და ამოცანების ჩამონათვალში, დეზინფორმაციის და

პროპაგანდის საკითხებზე მუშაობა პირდაპირ არ არის მითითებული. თუმცა, დოკუმენტის შინაარსის მიხედვით, დეპარტამენტის მუშაობა ამ საქმიანობას უნდა მოიცავდეს.[8] სხვა ინფორმაცია დეპარტამენტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, ან განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, ოფიციალურ ვებგვერდზე არ მოიპოვება.

სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი, ასევე, მწირ ინფორმაციას გვაწვდის დეზინფორმაციის და პროპაგანდის საფრთხეებთან გასამკლავებლად ადმინისტრაციის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ. ოფიციალური გვერდი, მომხმარებლებს, ძირითადად, პრემიერ მინისტრის საქმიანი შეხვედრების შესახებ აწვდის ინფორმაციას.

საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგია, საქართველოს მთავრობის ბოლო პერიოდში დამტკიცებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი ერთ-ერთი დოკუმენტია, რომელიც დეზინფორმაციის საფრთხეებს უკავშირდება (სხვა საკითხებთან ერთად). [9] სტრატეგიის მიხედვით, "…გეოპოლიტიკური მდებარეობა, ქვეყნის პოლიტიკური კურსი და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ სწრაფვა საქართველოს, პირველ რიგში, რუსეთის ფედერაციის მხრიდან ხდის პოლიტიკურად მოტივირებული კიბერშეტევების, ინფორმაციული პროპაგანდის, ყალბი ინფორმაციის, კიბერჯაშუშობისა და კიბერტერორიზმის სამიზნედ. რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მართული საინფორმაციო ომი, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს პროპაგანდისა და დეზინფორმაციის მაღალ ხარისხს, ქმნის ნიადაგს საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციისთვის, რაც, მიმდინარე სამხედრო ოკუპაციის კვალდაკვალ, ეროვნული უსაფრთხოებისთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს."

სტრატეგია ამ საფრთხეების ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ საჯარო მოხელეებს გამოარჩევს, რომელთა გადამზადება და საფრთხეების შესახებ ცნობიერების ამაღლება კრიტიკულ საკითხად არის მიჩნეული. სტრატეგიას თან ერთვის სამოქმედო გეგმა, რომელიც კიბერ უსაფრთხოების საკითხებზე საჯარო მოხელეების/ადმინისტრაციულ ორგანოებში დასაქმებული პირების სავალდებულო გადამზადებას ითვალისწინებს. სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2024 წლისთვის სულ მცირე, 500 საჯარო მოხელეს უნდა ჰქონდეს სავალდებულო სწავლება გავლილი.

5.2. საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ერთ-ერთი წამყვანი უწყებაა დეზინფორმაციის საფრთხეებზე რეაგირების და საზოგადოების ინფორმირების თვალსაზრისით.

სამინისტრომ, საქართველოს საგარეო პოლიტიკის 2019-2020 წლების სტრატეგიით, რუსული დეზინფორმაცია და პროპაგანდა ჰიბრიდული ომის საშუალებებად აღიარა. სტრატეგია საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ანტიდასავლური პროპაგანდის გავლენის პრევენციისა და შემსუბუქების მნიშვნელობაზე მიუთითებს.

[8] სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

[9] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5263611?publication=0

დოკუმენტის თანახმად, უწყება გეგმავს აქტიურად დააკვირდეს და გააანალიზოს საინფორმაციო სივრცე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ, გამოავლინოს დეზინფორმაციის შემთხვევები და მიიღოს სათანადო საპასუხო ზომები. ინფორმაცია, თუ როგორ დააკვირდა პროცესებს საგარეო საქმეთა სამინისტრო, გააანალიზა საფრთხეები, დაგეგმა და განახორციელა შესაბამისი რეაგირების ღონისძიებები სამინისტროს ვებგვერდზე არ იძებნება.

დეზინფორმაციის საფრთხეებზე დაკვირვება, ანტიდასავლური პროპაგანდის ანალიზი და საპასუხო ქმედებების დაგეგმვა - განხორციელება სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის პირდაპირი ფუნქციაა.[10] დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ სამინისტროს ვებგვერდზე ინფორმაცია არ არის განთავსებული. მწირი ინფორმაცია დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ მოცემულია სამინისტროს 2021 წლის საქმიანობის ანგარიშში, სადაც ვკითხულობთ, რომ "საგარეო საქმეთა სამინისტრო ყოველთვიურად ახორციელებს დეზინფორმაციის მონიტორინგსა და ანალიზს. სამინისტროში შეიქმნა და ფუნქციონირებს უწყების შიდა კომუნიკაციის მექანიზმი."[11] დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ამ მნიშვნელოვანი პროცესის შესახებ მონაცემები სამინისტროს ვებგვერდზე ან სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში არ იძებნება.

დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი აქვს საინფორმაციო ცენტრს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, რომელიც 2005 წელს დაარსდა. ცენტრი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ექვემდებარება. მისი მიზნები და ფუნქციები შემდეგია:

- ევროკავშირისა და ნატოს შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება;
- დიალოგის ორგანიზება საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის საკითხებზე;
- ფართო საზოგადოებისთვის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ სამინისტროს მნიშვნელოვანი უწყებაა, რომლის საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს. სტრატეგიულად დაგეგმილი საინფორმაციო კამპანიის საფუძველზე, ცენტრი ახდენს საზოგადოების ინფორმირებას ევროკავშირის და ნატოს შესახებ. ცენტრი თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, დიპლომატიურ კორპუსთან და მედიასთან.

ცენტრის საქმიანობა, ძირითადად, პარტნიორი ქვეყნების და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტების სამიზნე ჯგუფები არიან ახალგაზრდები,

[10] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი, მიზნები და ამოცანები

[11] საგარეო საქმეთა სამინისტროს 2021 წლის საქმიანობის ანგარიში

მასწავლებლები, საჯარო მოხელეები/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, ეთნიკური უმცირესობები და მედია. 2021 წლის წლიური ანგარიშის მიხედვით, ცენტრის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ჯგუფი საჯარო მოხელეები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები იყვნენ. განხორციელებულმა პროექტებმა 3000-ზე მეტი მონაწილე მოიცვა.[12]

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრო დეზინფორმაციის საფრთხეებზე რეაგირების თვალსაზრისით ერთ-ერთი წამყვანი სამთავრობო უწყებაა, სამინისტროს დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები არ იძლევა შესაძლებლობას შევაფასოთ სამინისტროს მზაობა ამ ფუნქციის ეფექტიანად შესასრულებლად. უწყების დოკუმენტები, ისევე, როგორც საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაცია არაფერს ამბობს იმის თაობაზე შეაფასა თუ არა სამინისტრომ უწყების ადმინისტრაციული რესურსების უნარი დროულად, თანმიმდევრულად და სისტემურად გაუმკლავდეს საფრთხეს; გადაამზადა თუ არა უწყებაში დასაქმებული პირები საკითხთან დაკავშირებით, ან ხომ არ გეგმავს დეზინფორმაციის და პროპაგანდის საფრთხეებზე მათი მედეგობის გაზრდის მიზნით პროგრამების შეთავაზებას.

5.3. თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ერთ-ერთი პირველი უწყებაა, რომელმაც დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიის საფრთხეები სტრატეგიული დოკუმენტებით აღიარა. საკომუნიკაციო სტრატეგია 2017-2020 და თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2021-2025, რუსული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის საფრთხეზე მიუთითებს და აცხადებს, რომ რუსეთის მიერ, „რბილი ძალის" მეშვეობით განხორციელებული ქმედებები მიზნად ისახავს საქართველოს ეროვნული ინსტიტუტების დასუსტებას, ქვეყნის ევრო-ატლანტიკური კურსის დისკრედიტაციას და პრორუსული და ანტიდასავლური ძალების გაძლიერებას.

სტრატეგიების მიხედვით, სამინისტრო საფრთხეებზე რეაგირების უმთავრეს მექანიზმად უწყების საქმიანობის შესახებ საზოგადოების დროულ და სრულყოფილ ინფორმირებას მიიჩნევს. დოკუმენტები არ გვაძლევენ ინფორმაციას თუ რა ადმინისტრაციული რესურსი გააჩნია სამინისტროს ამ ფუნქციის შესასრულებლად, ან რა რესურსებით ახორციელებს საფრთხეების შესახებ დაგეგმილი კომუნიკაციის და ცნობიერების ამაღლების პროგრამებს.

2016 წელს, დეზინფორმაციის და პროპაგანდის საფრთხეებზე რეაგირებისთვის, სამინისტრომ სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი შექმნა. დეპარტამენტის დებულებით განსაზღვრული მთავარი ამოცანებია, უწყების გარე კომუნიკაცის განხორციელება და საზოგადოების ინფორმირება ნატოში ინტეგრაციისა და ალიანსთან თანამშრომლობის საკითხებზე. დეპარტამენტის დებულება არ მიუთითებს კონკრეტული სამიზნე ჯგუფების შესახებ, ვისთვისაც დეპარტამენტის პროგრამები და ღონისძიებები ხორციელდება. შესაბამისად, არ არის ცნობილი, ითვალისწინებენ თუ არა ეს პროგრამები კონკრეტულად უწყების

[12] საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, 2021 წლის წლიური საქმიანობის ანგარიში

თანამშრომლებისთვის საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების პროგრამების მიწოდებას.

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს დოკუმენტები შიდაუწყებრივი შესაძლებლობების გაძლიერების, მათ შორის, სამინისტროში მომუშავე საჯარო მოხელეთა რეგულარული გადამზადების (ან ასეთი საჭიროების) შესახებ არაფერს ამბობს, უწყება აქვეყნებს ინფორმაციას შიდაუწყებრივი ცალკეული პროგრამების განხორციელების შესახებ. ასეთ პროგრამებს შორის აღსანიშნავია სწავლების პროგრამა "დიდგორი 2021". პროგრამა მიზნად ისახავს სამთავრობო უწყებებს შორის კომუნიკაციის და ცნობიერების ამაღლების საკითხებზე სწავლებას, საომარ და კრიზისულ სიტუაციაში სამთავრობო უწყებებს შორის კოორდინაციის გაღრმავებასა და ურთიერთქმედების დახვეწას, ჰიბრიდულ გამოწვევებთან, მოწინააღმდეგის საინფორმაციო ზეგავლენის ოპერაციებთან და დეზინფორმაციასთან გამკლავებას.[13]

ამ პროგრამის ფარგლებში, 2022 წლის ნოემბერში, თავდაცვის ძალების საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებმა და თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საზოგადოებასთან ურთიერთობის კურსი გაიარეს. სწავლებას აშშ-ის სპეციალური ოპერაციების ძალების ევროპის სარდლობის სამხედროები უძღვებოდნენ.[14]

საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის შუალედური სწავლება მიზნად ისახავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალებში ინფორმაციასთან დაკავშირებული შესაძლებლობების კიდევ უფრო გაძლიერებას და ინსტიტუციონალიზაციას. ნატოსთან თავსებადი კურსი როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებსაც მოიცავდა. 4 დღის განმავლობაში კურსის მონაწილეებმა კრიზისების მართვის, მათზე რეაგირების, სოციალური მედიის მართვისა და დეზინფორმაციასთან ბრძოლის კომპონენტები შეისწავლეს.

5.4. შინაგან საქმეთა სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგიაში (2019-2021) [15], საინფორმაციო გარემოს შეფასებისას, აღნიშნულია, რომ „დეზინფორმაციის გავრცელებითა და დასავლური ღირებულებების მარგინალიზაციით, რუსეთის „რბილი ძალის“ პოლიტიკა ემსახურება საზოგადოებაში ულტრანაციონალიზმის გაღვივებას და ანტიდასავლური მუხტის გაჩენას. ქართული საზოგადოების წინაშე მდგარ გამოწვევასთან ბრძოლაში და პრორუსული ძალების მიერ არჩეული პრაგმატული და ტაქტიკური მიდგომების საპასუხოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო მიზანმიმართულია, განხორციელებული სტრუქტურული და შინაარსობრივი რეფორმების საფუძველზე, საზოგადოების წინაშე წარდგეს როგორც ძლიერი, ქმედითი, გამჭვირვალე, თანამედროვე და სამართლიანი პარტნიორი.“

ნატოსთან თავსებადობის ამაღლების, ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებთან წარმატებული თანამშრომლობის შესახებ კომუნიკაცია შსს-ს ერთ-ერთი საკომუნიკაციო

[13] https://mod.gov.ge/ge/news/read/8489/uwyebatshorisi--didgori-2021-daiwyo

[14] https://mod.gov.ge/ge/news/read/8872/tavdacvis-dzalebis-sazogadoebastan-urtiertobis-oficrebma-sazogadoebastan-urtiertobis-shualeduri-kursi-gaiares

[15] შინაგან საქმეთა სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგია 2019-2021

მიზანია. ხოლო ნატოსთან, ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებთან ეფექტური თანამშრომლობა, აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესის და სარგებელის წარმოჩენა - ერთ-ერთი საკომუნიკაციო საკითხი.

სამინისტრო, კომუნიკაციის განხორციელების პროცესში, მნიშვნელოვან სამიზნე აუდიტორიად შიდა-უწყებრივ აუდიტორიას ასახელებს (შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები და სამინისტროს თანამშრომელთა ოჯახის წევრები). თუმცა არ არის ცნობილი, სამინისტროს რომელი სტრუქტურული ერთეული არის განპირობებული ამ კონკრეტული მიზნის განსახორციებლად. შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ყველაზე ახლოს ამგვარი პროგრამების განხორციელებასთან სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტია (შეიქმნა 2018 წელს). თუმცა დებულების[16] თანახმად, დეპარტამენტის ფუნქციებიდან მხოლოდ ერთი, შიდასაკომუნიკაციო არხების განსაზღვრა და სისტემატიზაცია, ეხება უწყების შიგნით სტრატეგიულ კომუნიკაციის საკითხს.

სამინისტროს საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტაციით, არ იძებნება ინფორმაცია დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე სამინისტროს სტრატეგიული დეპარტამენტის ან რომელიმე სხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ უწყების თანამშრომლებისთვის დაგეგმილი და სისტემატიურად განხორციელებული პროგრამების შესახებ. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, სამინისტროს წარმომადგენლები პერიოდულად, ცალკეული პროექტების ფარგლებში, მონაწილეობას იღებენ ამ საკითხთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებებში. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი პროგრამები:

- „დიდგორი 2021” - 2021 წელს, შსს-ს 200-მდე წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო უწყებათშორისი სწავლება „დიდგორი 2021"-ში, რომელიც ჰიბრიდულ გამოწვევებთან, მოწინააღმდეგის საინფორმაციო ზეგავლენის ოპერაციებსა და დეზინფორმაციასთან გამკლავებას შეეხებოდა.
- „საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია“ - 2019 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს მართლწესრიგის ოფიცრებისთვის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრში გაიმართა ტრენინგი თემაზე - „საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია“. სწავლებაში 35 მართლწესრიგის ოფიცერი მონაწილეობდა.

5.5. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი 2021 წელს შეიქმნა. [17] დებულების მიხედვით, დეპარტამენტის კომპეტენციებად განსაზღვრულია სამინისტროსა და სამინისტროს მმართველობის სისტემაში შემავალ იურიდიულ პირებთან, ასევე სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტიანი კოორდინაციის სისტემის დანერგვა და შესაბამისი კომუნიკაციის უზრუნველყოფა; ეფექტიანი კოორდინაციის მიზნით ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი, საერთო საკომუნიკაციო გზავნილების შემუშავება და გავრცელება; ასევე, სამინისტროსა და სამინისტროს სისტემაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებსა და

[16] https://police.ge/ge/press-center/prestsentris-funqtsiebi
[17] https://matsne.gov.ge/ka/document/download/4477224/0/ge/pdf

იურიდიულ პირებში სამინისტროს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის, სიახლეებისა თუ გეგმების გავრცელების მიზნით შიდა კომუნიკაციის უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროს არ გააჩნია განახლებული კომუნიკაციის სტრატეგია და რთულია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად არის დეზინფორმაციასა და პროპაგანდასთან ბრძოლა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის პრიორიტეტი.

5.6. სახელმწიფო მინისტრის აპარატი შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში

დეზინფორმაცია და პროპაგანდა, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის კონტექსტში, საფრთხედ არის აღიარებული სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიაში.[18] სტრატეგიის მიხედვით, „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლება ისეთ საკითხებზე, როგორიც არის ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესები, სახელმწიფო პროგრამები და სერვისები, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკა, განათლების შესაძლებლობები და მხარდამჭერი პროგრამები, გენდერზე დაფუძნებული ძალადობა და ადრეული ქორწინება, დეზინფორმაცია და კიბერუსაფრთხოება, ანტიდისკრიმინაციული მექანიზმები და სხვა, მნიშვნელოვანი ბერკეტია სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესების ეფექტიანობის ასამაღლებლად.“

სტრატეგია პრიორიტეტულად მიიჩნევს, ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ კოორდინირებული და პროაქტიული სტრატეგიული კომუნიკაციების წარმოებას. საკითხი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გახდა ბოლო წლებში მზარდი დეზინფორმაციის ფონზე, რამდენადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები დეზინფორმაციისა და საინფორმაციო მანიპულაციების ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ.

სახელმწიფო მინისტრის აპარატში, სტრატეგიულ საკითხებზე კომუნიკაციის განხორციელების მიზნით, შეიქმნა და ფუნქციონირებს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი. ამ სტრუქტურული ერთეულის ძირითად ამოცანებს შორისაა უწყებათაშორისი, შიდა და გარე აუდიტორიასთან სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარება.[19] დეპარტამენტი მწირ ინფორმაციას აქვეყნებს თავისი საქმიანობის შესახებ.

მნიშვნელოვანი ოფიციალური წყარო, რომელიც სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას, საქართველოს პრემიერ მინისტრის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშია. დოკუმენტის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირების/ცნობიერების ამაღლების მიზნით, განხორციელდა საინფორმაციო კამპანიები, რომლის ფარგლებშიც ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების, საქართველოს ევროპული და

[18] სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია

[19] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დებულება

ევროატლანტიკური ინტეგრაციის, დეზინფორმაციისა და პროპაგანდისა და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ.

ასევე, უწყების ორგანიზებით, ჩატარდა ტრეინინგი თემაზე: „დეზინფორმაციის ზეგავლენა სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესზე და მისი პრევენციის მნიშვნელობა“. სწავლებაში სამცხე-ჯავახეთის, კახეთისა და ქვემო ქართლის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული მუნიციპალიტეტების, და თბილისის არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლები მონაწილეობდნენ.[20]

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ოფიციალური დოკუმენტებიდან არ ჩანს, როგორ გეგმავს სამინისტრო უწყების ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაზრდას საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად შესასრულებლად. უწყების თანამშრომლელთა ცნობიერების ამაღლების განხორციელებული ან დაგეგმილი პროგრამების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

5.7. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგიით (2022-2030) [21] საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე დეზინფორმაციის გავრცელება განსაკუთრებულ საფრთხედ არის აღიარებული. დეზინფორმაცია განსაკუთრებულ გამოწვევად განიხილება ვაქცინაცინაციასთან მიმართებით. ამ გამოწვევაზე საპასუხოდ, სტრატეგია მნიშვნელოვნად მიიჩნევს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკების კომუნიკაციას. რისკების კომუნიკაციის ეფექტიანი, მრავალდონიანი და მრავალმხრივი კამპანიის უზრუნველყოფა სტრატეგიის ერთ-ერთი ამოცანაა.

თუმცა სამინისტროს ვებგვერდზე არ იძებნება ინფორმაცია არც კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის, არც სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის არსებობის შესახებ. ასევე, არ მოიპოვება ინფორმაცია რა რესურსებით და შესაძლებლობებით უნდა განახორციელოს სამინისტრომ ჯანმრთელობის რისკების კომუნიკაცია და გეგმავს თუ არა ამ მიმართულებით უწყების ადმინისტრაციული რესურსების, მათ შორის ადამიანური რესურსების გადამზადებას.

6. საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

2018 წელს „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებების თანახმად, კომუნიკაციების კომისიის კომპეტენციად განისაზღვრა სასწავლო დაწესებულებებში მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობა. ცვლილებების შედეგად, კომუნიკაციების კომისიაში მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის დეპარტამენტი შეიქმნა. დეპარტამენტის მთავარი ფუნქციაა ხელი შეუწყოს საინფორმაციო და მედიაწიგნიერების გავრცელებას სასწავლო დაწესებულებებში.

[20] სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ მოხსენება, 2022

[21] ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030

შექმნის პერიოდიდან დღემდე, კომისიამ მედიაწიგნიერების საკითხებზე არაერთი პროექტი განახორციელა, რომლებიც განკუთვნილი იყო ეთნიკური უმცირესობების, უნივერსიტეტის სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის.

კომისიის 2020 და 2021 წლების ანგარიშების მიხედვით, კომუნიკაციების კომისიამ დეზინფორმაციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, არაერთი პროგრამა და ღონისძიება განახორციელა, მათ შორის

- საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის განკუთვნილი პროგრამა - „დეზინფორმაცია, როგორც გამოწვევა: კრიტიკული აზროვნების განვითარება განათლებაში;''
- ტრენინგი დეზინფორმაციასთან გამკლავების შესახებ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის;
- დეზინფორმაციის, მიზინფორმაციის, ყალბი ინფორმაციისა და მედიაწიგნიერების შესახებ დისკუსია თბილისის 123-ე საჯარო სკოლაში (გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად);
- სასწავლო სემინარი სტუდენტებისთვის - „ქართული ტელემედიის სამაუწყებლო პოლიტიკა“ (მედიააკადემიასთან ერთად);
- „მედიაწიგნიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების“ პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ყველა რეგიონიდან, ჯამში 500 მასწავლებლის გადამზადებას (გაეროს ბავშვთა ფონდთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით).[22]

ასევე, მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელიც კომუნიკაციების კომისიამ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად შექმნა, მედიაწიგნიერების ჰაბია, https://mediatsigniereba.ge/, რომლის მიზანია:

- შექმნას საერთო სივრცე საქართველოში მედიაწიგნიერების მიმართულებით მომუშავე ყველა ორგანიზაციისა თუ უწყებისთვის;
- საზოგადოებას შესთავაზოს წვდომა მუდმივად განახლებად სასწავლო, საგანმანათლებლო და საინტერესო რესურსებზე;
- გააცნოს მედიაწიგნიერების მიმართულებით საქართველოში მიმდინარე ყველა სიახლე და პროექტი;
- აამაღლოს საზოგადოებაში ცნობიერების დონე მედიაწიგნიერების შესახებ.

შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაციების კომისიას განსაკუთრებული ცოდნა და გამოცდილება დაუგროვდა მედია წიგნიერების პროგრამების განხორციელების საკითხებში. მედია წიგნიერების განვითარება კი, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად განიხილება დეზინფორმაციის და პროპაგანდის გავლენების და რისკების შესამცირებლად. არ არის ცნობილი, რამდენად იყენებენ სახელმწიფო უწყებები კომუნიკაციის კომისიის მიერ შექმნილ და განვითარებულ მედიაწიგნიერების პროგრამებს. განსაკუთრებით, ციფრულ სამყაროში ინფორმაციის მიღების, დამუშავების

[22] https://www.comcom.ge/ge/

და გადამოწმების საკითხებზე უწყების თანამშრომლების ცოდნისა და უნარების გასაძლიერებლად.

7. ძირითადი მიგნებები

- სახელმწიფო უწყებების სტრატეგიული დოკუმენტები დეზინფორმაციას და პროპაგანდას ქვეყნის წინაშე მდგარ საფრთხედ ასახელებენ, თუმცა, სტრატეგიული დოკუმენტების საფუძველზე, გამონაკლის შემთხვევებში იქმნება საფრთხესთან გასამკლავებლად კონკრეტული სამოქმედო გეგმები;
- დეზინფორმაციის და პროპაგანდის საფრთხეებზე რეაგირების ერთ-ერთი მთავარი გზა საზოგადოების დროული, თანმიმდევრული და სრულყოფილი ინფორმირებაა. თუმცა, სახელმწიფო უწყებები, ამ მიმართულებით თავიანთი საქმიანობის შესახებ, ან მწირ ინფორმაციას აქვეყნებენ, ან საერთოდ არ აქვეყნებენ. მეტიც, უწყებები თავს იკავებენ გასცენ ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით მათთვის გაგზავნილი წერილების პასუხად;
- სახელმწიფო უწყებები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ შიდა უწყებრივი შესაძლებლობის გაძლიერების საკითხებს დეზინფორმაცისთან და პროპაგანდასთან ბრძოლის სკითხებში. სამინისტროების დოკუმენტები და ოფიციალურად გამოქვეყნებული მასალები არ გვაძლევს ინფორმაციას, შეაფასა თუ არა რომელიმე სამინისტრომ უწყების ადმინისტრაციული რესურსის უნარები და შესაძლებლობები ეფექტიანად გაუმკლავდნენ დეზინფორმაციის და პროპაგანდის საფრთხეებს;
- სამინისტროების სტრატეგიული დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები არ ითვალისწინებენ რეგულარული სასწავლო პროგრამების შეთავაზებას უწყებაში დასაქმებული საჯარო მოხელეებისთვის. აღნიშნული ინფორმაცია ასევე არ მოიპოვება საჯარო წყაროებით;
- მთავრობის ადმინისტრაციის და სამინისტროების სტრატეგიული დეპარტამენტების ვებგვერდებზე მხოლოდ დებულებები არის გამოქვეყნებული. ინფორმაცია დეპარტამენტების პრიორიტეტების, სამოქმედო გეგმების და განხორციელებული პროექტების შესახებ არ ქვეყნდება. შესაბამისად, არ გვაქვს ინფორმაცია, ასეთი დოკუმენტები არ შექმნილა თუ ტექნიკური შეფერხებაა მათ გამოქვეყნებაში;
- სტრატეგიული დეპარტამენტების დებულებები, ძირითადად, გარე კომუნიკაციას განსაზღვრავენ პრიორიტეტად (რაც თავისთავად მნიშვნელოვანია); შიდა უწყებრივი კომუნიკაცია და დეზინფორმაციის საკითხებზე უწყების თანამშრომლების ინფორმირება, პრიორტეტებში არ არის გათვალისწინებული (გარდა კვლევაში აღნიშნული მცირე გამონაკლისისა);
- უწყებებს შორის კომუნიკაცია დეზინფორმაციის და პროპაგანდის საფრთხეებზე ერთიანი რეაგირებისთვის, სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტების დებულებების მნიშვნელოვანი პუნქტია. თუმცა, ამ მიმართულებით უწყებების თანამშრომლებს შორის კოორდინაცია და ერთობლივი საქმიანობა, ან არ

ხორციელდება, ან ამის შესახებ ინფორმაცია არ ქვეყნდება ოფიციალური წყაროებით.

8. რეკომენდაციები

- საჯარო სამსახურის ბიურომ, შესაბამის სამინისტროებთან თანამშრომლობით, შეიწავლოს დეზინფორმაციის და პროპაგანდის შესახებ საჯარო მოხელეების ინფორმირებულობის საკითხი (რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევების მეშვეობით);
- ჩატარებული კვლევის შედეგები საჯარო სამსახურის ბიურომ წარუდგინოს შესაბამის საჯარო უწყებებს სამსჯელოდ და შემდგომი ღონისძიებების დასაგეგმად;
- დეზინფორმაციის და პროპაგანდის შესახებ საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლების ამოცანა და შესაბამისი ღონისძიებები გაიწეროს უწყებების სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში;
- სამინისტროებში არსებულმა სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტებმა დაიწყონ შიდა კომუნიკაცია დეზინფორმაციის და პროპაგანდის საფრთხეების შესახებ შიდა-უწყებრივი პროგრამების განსახორციელებლად;
- სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტებმა, საჯარო სამსახურის ბიუროს მონაწილეობით, განიხილონ საჯარო მოხელეებისთვის სასწავლო პროგრამების შეთავაზების საკითხი;
- საჯარო სამსახურის ბიურომ, სამინისტროების სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტებთან თანამშრომლობით, მოამზადოს სასწავლო პროგრამა საჯარო მოხელეებისთვის დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად;
- საჯარო სამსახურის ბიურომ საინფორმაციო შეხვედრა გამართოს დეზინფორმაციასა და პროპაგანდაზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და იმსჯელოს მათთან შესაძლო თანამშრომლობაზე;
- შეთავაზებული სასწავლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი დონის საჯარო სამსახურის სპეციფიკასა და ინტერესებს;
- საჯარო უწყებებმა პროაქტიულად გამოაქვეყნონ ინფორმაცია დეზინფორმაციასა და პროპაგანდასთან გამკლავების მიმართულებით მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

9. სასარგებლო ბმულები

1. Foreign interference in all democratic processes in the European Union European Parliament resolution of 9 March 2022 on foreign interference in all democratic processes in the European Union, including disinformation;
2. European Commission, Tackling online disinformation;
3. Disinformation and freedom of opinion and expression: report of the Special Rapporteur on the Promotion and Protection of the Right to Freedom of Opinion and Expression, Irene Khan; https://digitallibrary.un.org/record/3925306?ln=en

4. Transparency Georgia, https://www.transparency.ge/en/post/spreading-disinformation-georgia-state-approach-and-countermeasures